ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 595 71 02 00

N 51
31/10/2019

51-08-4-201910311637

განკარგულება

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ბახმაროს ანგარიში 2019 წელში გაწეული

საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური,განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 2019 წლის 28 ოქტომბრის N4 აქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,ბახმაროს“ წესდებიდან გამომდინარე საქმიანობის შესახებ ანგარიში (ანგრიში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური,განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 2019 წლის 28 ოქტომბრის N4 აქტი) თან ერთვის

1.1 მერიამ უზრუნველყოს მომდევნო წელს ა(ა)ი.პ.ის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობის სრული რემონტის პროექტის შედგენა და შემდგომ უზრუნველყოს შესაბამისი თანხების მოძიება სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისთვის.

1.2 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს, რომ ა(ა)ი.პ. ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი“ გათავისუფლდეს ა(ა).ი.პ საფეხბურთო კლუბი ბახმაროს“ კომუნალური გადასახადების გადახდისაგან და გადახდის ვალდებულება დაეკისროს ა(ა).ი.პ საფეხბურთო კლუბს ,,ბახმაროს“

1.3 მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა 2020 წლის 1 აპრილამდე შეამოწმოს ა(ა)ი.პ ,,ბახმაროს“ წესდებიდან გამომდინარე საქმიანობის კანონიერება მიზანშეწონილობა, ეფექტურობა და საფინანსო სამეურნეო საქმიანობა.

1.4 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა(ა)ი.პ-ის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ა(ა).ი.პ საფეხბურთო კლუბში ,,ბახმარო“ სამართლებრივი

დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

1.5 ა(ა) .ი.პ საფეხბურთო კლუბმა ,,ბახმარო“, მერიასთან შეთანხმებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსების შესაბამისად განსაზღვროს კლუბის სტრუქტურა ,საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი.

1.6 ა(ა)ი.პ.ი საფეხბურთო კლუბმა ,,ბახმარო“ მ/ წლის 1 დეკემბრამდე წარმოადგინონ მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარების გეგმა.

1.7 მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N 36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საკითხის განხილვის დროს ა(ა)ი.პ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო“-ში 2019 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ცვლილებების დაზუსტებული ვარიანტი.

2. კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოციალური,განათლების,კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ.N4

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა